მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 19 **1883-1892** 15 ოქტომბერს

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით	5 მან.	12 თთვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

უველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

კურთხევა იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლისა 1892 წ. 4 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან ისტორია ხსენებული საქალებო სასწავლებლისა. ამ სასწავლებლის კურთხევა და გახსნა მოხდა ამ ოქტომბრის თთვის 4. კურთხევაზე მიპატიჟებულნი იყვნენ ქალაქის უველა უწყების წარმომადგენელნი და საპატიო პირნი. საზოგადოებაც ბლომად დაესწრო.

დილის ათ საათზე მობრძანდა სასწავლებლის ეკკლესიაში უოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და შეასრულა წირვა კრებულითურთ. წირვის გათავებისას უოვლად სამღვდელომ აუხსნა და განუმარტა მლოცველთ დღიური სახარების სიტყვები:

ამ სიტყვებით უოვლად სამღვდელომ მშვე-

ნივრად ჯ ადვილი გასაგები ენით განუმარტა მსმენელთ, თუ რაში მდგომარეობს მოვალეობა ყოველი კაცისა მოუკვსისადმი და როგორ უნდა მოვექცეთ ჩვენ ყველა ჩვენს მოყვასს ცხოვრებაში. ჩამოლოცვის შემდეგ მწირველი და ყველა დამსწრე სამღვდელოება ლიტანიით წავიდნენ სასწავლებლის ერთს დიდ ოთახში, სადაც გარდახდილ იქმნა ვარაკლისი; ვარაკლისი გათავდა ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცის, მემკვიდრის და მათი სახლობის, უწმიდესი სინოდის, საქართველოს ექსარხოსის, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის, მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის მრავალქამიერობითი წარმოთქმით. მოხსენებული იყო აგრეთვე განსვენებულნი სტრეიცკნი, რომელთაც შესწირეს თავიანთი მამული სასულიერო უწყებას და რომელ მამულშიაც დღეს გაიხსნა ზემოხსენებული სასწავლებელი. ვარაკლისის გათავებისას ქუთაისის კათედრის დეკანოზმა გ. ცაგარეიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ,
და მოწყალენო ხელმწიფენო!

1890 წელში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ ერთ თავის კრებაზედ დაადგინა ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის გახსნა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის 30 წლის სამსახურის სანახსოვროდ იმერეთის ეპარქიაში და მასვე სთხოვა შუამდგომლობა საქართველოს ექსარხოსთან, რომ უწ. სინოდს დამტკიცებია სამღვდელოების ესეთი დადგენილება. სასწავლებლის შესანახავად სამღვდელოებამ შესწირა 45,000 მ., რომელიც ხელუხლებელი თანხა, ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა 5,000 მან., ხელუხლებელ თანხის ანგარიშში არის შეტანილი 22 ბილეთი ადმოსავლეთის ბირველი სესხისა, რომელიც შეადგენს 2100 მ. და რომელიც ეკუთვნის სტრეიცკის წმ. სამების ეკეკლესიას; გარდა ამისა სასწავლებელს ექნება ყოველ წლობით შემოსავალი სხვა-დასხვა წყაროებიდგან 8000 მ. ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნა უწ. სინოდისგან საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობით და ამ სახით გარდაწყვეტილია დაარსდეს ქუთაისში იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებელი. დღეს, როგორც თქვენ თვითონ იხილეთ, ჩვენმა მწყემსთ-მთავარმა აგურთხა ეს სასწავლებელი. ჭეშმარიტად სასიხარულოა ეს შემთხვევა.

ისეთი დიდი საქმე, რაგვარიც არის, რასაკვირველია, დაარსება ჩვენში ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლისა, რომლის დაარსება ამ ოთხი წლის წინად, შეიძლება, შეუძლებელ საქმედ მიაჩნდათ, დღეს დამთავრებულია.

დღეს უკვე დაარსებულია სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოჰფინოს განათლება იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ქალებ შორის. დღეიდგან იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ თავიდამ აიცდინა ბასუნის გება, როგორც ღვთის, ისე ისტორიის წინაშე, ვითომც ეს სამღვდელოება გულ-გრილად ეკიდებოდა თავისი ქალების განათლების და აღზრდის საქმეს.

ამერეთის სამღვდელოებას თავის ვაჟების აღსაზდელად აქვს ერთი სასწავლებელი, რომელიც შესანიშნავად მოსწავლეთა რიცხვის რაოდენობით. ამ სასწავლებელში ყოველ წლობით ასობით შედიან მოსწავლე ვაჟები და ამაზე მეტი თვალ ცრემლიანი ბრუნდება შინისკენ უადგილობისა გამო; ამის გამო რაგვარც მესმის და გამიგონია სამღვდელოთაგან, დიდი დრო არ გავა, რომ ჩვენს სამღვდელოებას ექნება ვაჟების მეორე სასწავლებელი. ყოველ წლობით იმერეთის სამღვდელოების ვაჟი შვილები ასობით და ათასობით ათავებენ საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში კურსს, მაგრამ ამავე დროს ძლიერ იშვიათი შემთხვევა არის, რომ იმერეთის სამღვდელოების ქალებს გაეთავებინოსთ არა თუ უმაღლესი, საშუალო სასწავლებელიც კი.

ასეთი არა ნორმალური მოვლენის ცუდი შედეგები იმოდენად თვალსაჩინონი არიან, რომ საკვირო არ არის მათი განმარტება. მაგრამ ამ საქალებო სასწავლებლის დაარსებისათანავე თუ მთლად არ მოისპობა ეს ცუდი შედეგები, შესაძლოა მაინც შესუსტდეს და ასევეულად დასასჩუქრებს ჩვენს სამღვდელოებას იმ შრომისა და ხარჯისათვის, რომელიც საკვირო შეიქნება ამ სასწავლებლის დაარსებისათვის.

საკვირო არ არის გავაგრძელო სიტყვა ამ ახლად დაარსებული საქალებო სასწავლებლის მნიშვნელობისა და საჭიროებლობის შესახებ. ეხლანდელ დროში ვის არ ესმის საჭიროებლობა სასწავლებლებისა, რაგვარიც უნდა იყვნენ იგინი, უმეტესად ისეთი ერთად-ერთი სასწავლებლისა, მთელს გუბერნიაში, რომელიც არის ჩვენი ეპარქიალური სასწავლებელი. მე მხოლოდ მოვიხსენიებ ზოგიერთ გერძო დანაშნულებათ ამა სასწავლებლისას. კინ მოსთვლის, თუ რამდენ ნაკლულევანებას არ აწერენ დღეს ჩვენს სამღვდელოებას: ზოგნი ამბობენ, რომ ჩვენი სამღვდე-

ლოება არ მოდგაწყობსო, არ ასრულებს თავიანთ მოგალობასო, სხვანი ამბობენ, რომ სამღვდელოება მხოლოდ მდიდარ სამრევლოებს ეძებს და გარბის ღარიბი სამრევლოებიდამ, უმეტესად მიისწრაფვის ქალაქებისკენ, რათა უფრო მოსვენებით და უზრუნველად იცხოვრონ და სხვანიო.

მართალია, ასე საერთოდ აუგებენ ჩვენს სამღვდელოებას, მაგრამ ამაკე დრეს ძლიერ მტირე უურადღებას აქცევენ იმ გარემოებათ, რომლებშიაც მოქმედებენ და სცხოვრებენ ჩვენი სამღვდელოება. წარმოიდგინეთ ჩვენი სოფლის მღვდლის ცხოვრება სოფელში, რომელსაც საშუალო სასწავლებელში აქვს სწავლა დამთავრებული და რომელსაც თავისი ნახევარი სიცოცხლე გაუტარებია თავის ამხანაგებთან და გამსწავლელნი ეოფილან ერთი და იგივე იდეალებით და მისწრაფებებით!

რას ამლევს სოფლის ცხოვრება ასეთ ასალგაზრდა და გამოუცდელ მღვდელს? სოფლის მღვდელი სრულიად განკერძოებულია, იგი კაცს კერ ხედავს არა თუ სამრევლოში, თავის სახლობაშიაც კი, რომელსაც გაუზიარებს თავისი აზრი და გონება. შრომა და მოთხოვნილება რაგორც კანონიერი, ისე უკანონო, ბევრი აქვს, ზნეობითი დახმარება კი არსაიდგანა სჩანს, გარდა ღვთისა; მრავალი შეწუხება ადგია გარშემო და ამასთან თავის არსებობისათვის ძლიერ მტირე სახსარი მოეძიება. ეოველივე ამაებს დაუმატეთ ის შრომა, რომელიც ამ ბოლოს დროს ვალად დაედგინა სამღვდელოებას საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველობისა და წარმოების შესახებ.

ჩემის თვალთით ადვილი საქმე არ არის ეოველივე ამ შრომის ატანა, კიდეც რომ ნიეთიერად სრულიად უზრუნველ ეოფილი იყოს ჩვენი სამღვდელოება. რადგან ასეთია ჩვენი მღვდლის მდგომარეობა, მაშ პირდაპირი დანიშნულება ამა სასწავლებლისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ აქ მოამზადონ ნამდვილი მეუღლენი—თანაშემწენი სოფლის მწყემსთათვის ისეთი თანაშემწენი, რომელთაც ნამდვილად შეეძლოთ ამხანაგობა გაუწიონ თავიანთ ქმრებს რაგორც შრომაში, ისე მათ მწუხარებასა და დალხინებაში და ამით ანუგეშონ იგინი მათ ძნელს და დიდად პასუხის საგებელ მსახურებასა შინა. იმედი მაქვს, რომ უკელანი, ვისაც კი ძვირფასად მიაჩნია სასულიერო განათლება, ჭეშმარიტის გულით, ისურვებს ჩემთან ერთად, ამ სასწავლებლისათვის წარმატებას და მისი დანიშნულების აღსრულებას.

ეხლა საჭიროდ ვრაცხ თქვენი უურადღება მიავქციო იმ გარემოებათა და პირობათა, რომელნიც საეუმეტესოდ დაედგა იმერეთის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის დაარსების საქმეს. სახელდობ: 1) პირველად მასს, რომ სამღვდელოებამ თავისი სურვილით და არა ვისიმე ძალდატანებით გახსნა ეს სასწავლებელი; 2) სამღვდელოებამ გახსნა სასწავლებელი სახსოვრად თავისი საყვარელი ეოველად სამღვდელო გაბრიელის ოც-და-ათი წლის სამსახურისა იმერეთის ეპარქიაში და სახელად უწოდა ამ სასწავლებელს თავისი მწყემს-მთავრის სახელი; 3) ეოველი ხარჯი ამ სასწავლებლისა მიიღო თავის თავზე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების სურვილი საქალებო სასწავლებლის დაარსების შესახებ ეოველად სამღვდელო გაბრიელის დიდი ხნის მწყემს-მთავრული სამსახურის სანახსოვრად საეურადღებო და მრავალ გზით სანუგეშოა. ასეთი სურვილი ეველას თვალსაჩინოდ უსატავს იმ მადლობის გრძნობას, სიყვარულს და შვილებრივ ერთგულებას იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისას, რომელსაც ის გრძნობს თავის მწყემს-მთავრისადმი, და რომ ეოველად სამღვდელო გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, სამღვდელოების ასეთ სურვილში სრულიად დაამსახურა თავის სასეიდელი, ეს გასაკვირველი არ არის; ნაოქვამია: «ღირს არს მუშაკი სასეიდლისა თვისისაო», და ჩვენი ეოველად სამღვდელო მუშაკი არ არის! მაგრამ ნუ დაიკიწყებთ, რომ, პირველ მოტანეულის სიტყვისაებრ: «ქვეყანა ტოდვასა შინა სდგას», ანუ რაგორც ამბობს ერთი ხალხური ბრძნული მოთხრობა «ოჯახი უმახინჯო არ არისო». მაშასადამე აქ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საზოგადოდ და საერთოდ აღიარებულია ნაეოფიერი სამსახური ეოველად სამღვდელო გაბრიელისა რაგორც მთელი ეპარქიისათვის საზოგადოდ, ისე სამღვდელოებისათვის კერძოდ.

ეს ფაქტი სასიხარულო და სანუგეშოა თვით სამღვდელოებისათვისაც, რადგან ეს მოგვენა ამტკიცებს, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ შეიგნო, თუ რამოდენად წინა სდგას იგი ეოველად სამღვდელო გაბრიელის 32 წლის სამსახურის შემდეგ, იმასთან შედარებით, თუ რა იყო იგი, რაცა პირველად იწყო მწყემსთ-მთავრული სამსახური ეოველად სამღვდელომ იმერეთის ეპარქიაში; სამღვდელოებამ შეიგნო, რომ მისმა მამობრივმა და მზრუნველმა მწყემსთ-მთავარმა არა მტირე შრომა და ძალა იხმარა მისდამი რწმენებული სამღვდელოების გონებითი და ზნეობითი ასამღლებლად და თვით ეოველად სამღვდელო ეველასათვის მაგალითი

იყო. ღმერთმა ინებოს, რომ კიდევ უფრო აღორძინდეს და განმტკიცდეს ესეთი კეთილი და ქრისტიანული დამოკიდებულება იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებასა და მის მწყემს-მთავრის ოთხლად სამღვდელო გაბრიელის შორის.

იგივე ფაქტი, ჩემის აზრით, საკუთარია იმ მხრითაც, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ საქალაქო სასწავლებლის დაარსებით შეიტანა საგრძნობელი თავისი ქალების განათლების და აღზრდისა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენი სამღვდელოება განახლდა, რომ მის წრეში შევიდა ბევრი ახალი და ენერგიული ელემენტი, რომელიც შეგნებულად უცქერის თავისი შვილების აღზრდის საქმეს. ამ ფოტა ხნის წინად თავისი ქალების განათლების შესახებ ფიქრობდა ძლიერ მცირე ნაწილი იმერეთის სამღვდელოებისა და უმეტესობა კი ძლიერ გულგრილად უცქერდა ამ საქმეს. ჩვენი სამღვდელოება თუმცა არ ზოგავდა და არც დღეს ზოგავს ფულს და შეძლებას თავის კვეების განათლებისათვის, მაგრამ ამავე დროს სამღვდელოების უმეტესი ნაწილი სრულებით გულგრილად უცქერდა თავის ქალების განათლებლობას.

მართალია ასეთი ნაკლი ემჩნევა არა მარტო ჩვენს სამღვდელოებას. ფეოდალნ და ფეოდალნი ოფრო მომეტებულ ყურადღებას აქცევენ კვეების განათლებას, ვინემ ქალებისას, მაგრამ ამით არ შეეძლო თავი გაემართლებია ჩვენს სამღვდელოებას. და ამიტომაც ჩვენმა სამღვდელოებამ, მადლობა ღმერთსა, მოიგრძობა თვის შორის ძალა და ცოდნა, რომ ეძლია ასეთი შეხედულებისათვის, რასაც ულოცავ მას.

ოფეველივე ამასთან, არ შეიძლია არ მოვიხსენოთ ის გაბედულობა და თავის შეწირვა, რომელიც გამოიჩინა სამღვდელოებამ, რომელ თავის თავზე მიიღო ამ სასწავლებლის ოფეველივე ხარჯი. ეველა, ვინაც იცის დაბიბული ნიეთიერი მდგომარეობა ჩვენი სამღვდელოებისა, ის, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ მე არ ვაზვიადებ საქმის გარემოებას. პატივი და ქება სამღვდელოებას ამ საქმისათვის!

მაგრამ კიდეც რომ დიდი და ძლიერი ოფეველიფო სურვილი სამღვდელოებისა ამ სასწავლებლის დაარსების შესახებ, რაგვარიც უნდა ოფეველიფო მისი შეწირულება, ხამდვილად სასწავლებლის გახსნა დიდხნობამდის მაინც არ მოხდებოდა, რომ სამღვდელოებას ხელთ არა ჭქონებოდა ისეთი მდიდრული შეწირულება ნეტარხსენებულ სტრუიეგებისაგან, რაოგორიც დღეს აქვს. ამიტომ, თუმცა შეწირვები ოფეველთვის იხსენიებიან ამ ტაძარში უსასრულო მსხვერპლის შეწირვის დროს, მაგრამ რადგან განსვენებულნი დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ უხვი შეწირულებისათვის, მე ვადგილად არ მიმიხნია, დღეს აქვე ეგალობოთ განსვენებულთ საუკუნო ხსენება, ხოლო შემდეგი დროისათვის დაკარგულთ, რათა განსვენებულ შეწირველთა სულის მოსახსენებლად შესრულებულ იქმნეს ხოლმე პარაკლისი ოფეველ ეწლობით ამ ჩვენთვის შესანიშნავ დღეს, რომელზედაც უნდა დასწრნენ მასწავლებელნი და მოსწავლენი ამა სასწავლებლისა.

ამ სახით უკვე გახსნილია იმერეთის გაბრიელის ეპარქიალური საქალაქო სასწავლებელი. მაგრამ სასწავლებლის გახსნა არ ნიშნავს, რომ ოფეველივე გაკეთებულია, რაც კი საჭიროა მისი რეგისამებრ არსებობისათვის. რომ ჩვენმა სასწავლებელმა შესრულოს თავისი განსაკუთრებული დანიშნულება, რომელიც ზემოთ მოგიხსენიეთ, იმან თავისი მოწაფეების აღზრდის დროს უნდა იქონიოს სასეში ის უფერული, სოფლური ცხოვრება, საიდანაც გამოდიან მისი მოწაფენი და სადაც აუცილებლად უნდა მიბრუნდნენ, მაგრამ აღჭურვილნი საკმაო ცოდნით და გამოცდილებით, რომ ეფრო ბოლიერად და გაგებულად ებრძოლონ სოფლიურ ცხოვრებას. ამისთვის საჭიროა, რამდენათაც შესაძლოა, შეუსაბამოთ ამ სასწავლებლის კურსი ჩვენი სამღვდელოების ეხლანდელს მოთხოვნილებათ და ცხოვრების მიმდინარეობას. რომ საქალაქო ეპარქიალური სასწავლებლების არსებული პროგრამა სინამდვილით ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ამაზე ხშირად არის ლაპარაკი ოფეველ ეწლეულ სიტყვაში, ისე ამ პირთა მსჯელობის დროს, რომელნიც ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამ სასწავლებლებთან. ამასვე მოწმობს ეჭაზი ეწ. სინოდისა ჩვენშა ეპარქიალური საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ; ამ ეჭაზის ძალით ჩვენი სასწავლებლის კურსიდან გამოირიცხულია ზოგიერთი საგნები, რომელნიც საჭიროა არ შეესაბამებიან ჩვენი სამღვდელოების მოთხოვნილებათ. როგორც მაგ. მუზიკა, ნემენტური და ფრანგული ენები და ნაცვლად პედაგოგიკის სწავლებისა, შემოღებულია მარტო დიდაკტიკის სწავლება. თვით ამ სასწავლებლის პროგრამა ნებას აძლევს ამ სასწავლებლის გამგეთ მოახდინონ, რასაკვირველია ეკონომიურის ნებართვის შემდეგ, ადგილობითი ცხოვრების მოთხოვნილებათა და პირობათა თანახმად, ზოგიერთი ცვლილება

სასწავლო საგნების სწავლების საქმეში; ამიტომ სასურველია, რომ ჩვენი ახალი სასწავლებელი იმეოფებოდეს გამოცდილი და ჩვენი სამღვდელოების საჭიროების და მოთხოვნილების მცოდნე პირების მართველობასა და მსედველობასა ქვეშ.

და ბოლოს სასწავლებლის აღმაშენებელი კომიტეტისაგან სტუმრები იყვნენ მიპატიჟებულნი საუზმეზედ. საუზმეზედ პირველად მიირთვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და მისი სახლეულობისა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და შემდეგ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის პალადისა. ეს სადღეგრძელოები დიდის აღტაცებით იქმნა ყველასაგან მიღებული... შემდეკ ქუთაისის ქალაქის "მოურავმა მიირთვა სადღეგრძელო ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა და შემდეგ სხვა პატივცემულ დამსწრე პირთა. როდესაც სადღეგრძელოები თითქმის თავდებოდა, წამოდგა დეკ. დ. დამბაშიძე, აიღო ხელში სტაქანი და სთქვა: ბატონებო, მტრის ციხეები აიღებიან ხოლმე ჯარის-კაცებისაგან, ყველა სიმაგრეები მტრისა ძირეულად განადგურდებიან ხოლმე მათის ძალით, მაგრამ მატიანეებში ყოველთვის ამ ციხეების ამღებად და შემმუსრველად გენარლები ირიცხებიან და ჯარის-კაცების ხსენებაც-კი არ არის. ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ ჩვენი სასწავლებლის კურთხევას, ამ მშვენიერი საქმის დასაწყისს, მაგრამ არ ვიხსენიებთ ჩვენი სამღვდელოების იმ დეპუტატებს, რომელთაც საძირკველი ჩაუდგეს ამ მშვენიერ დაწესებულებას და რომელთა სიმხნემ და გამბედაობამ მოგვცა ჩვენ შემთხვევა დღევანდელი დღის დღესასწაულობისა. მართალია, როგორც გამოითქვა აქ დღეს, საზოგადო კითხვებიც ხილის მსგავსად მწიფდებიან და ბოლოს ძნელნი, შეუსრულებელნი საქმენი ძველი დროისა სისრულეში მოდიან. მართალია საზოგადო კითხვანიც ისე მწიფდებიან, როგორც ხილი ხეხილებზედ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დამწიფებულ ხილსაც მოკრეფა და მოწევა სჭირდება. ხშირად ვხედავთ ჩვენ დამწიფებულ ნაყოფს, რომელსაც კაცის ხელი არ მიჰკარებია და ტოტზედვეა შემხმარი ან მიმჭკნარი. საზოგადო კითხვების მიმდინარეობაც ამას ემსგავსება. თუ არავინ არ ითავა და საზოგადოებას არ უჩვენა წინ ბიჯის წადგმა, დამწიფებული საზოგადო კითხვებიც კითხვებად რჩებიან და სისრულეში არ მოდიან. რასაკვირველია, იყო კაცი, რომლის აზრით და ჩვენებით გაისკვნა საფუძველი ამ მშვენიერი დაწესებულებისა, ამ კეთილი საქმისა, რომელიც ასე მშვენიერად დასრულდა. ამ კაცს კარგათ იცნობს დეპუტატები და სამღვდელოება. მომეცით ნება, სადღეგრძელო დავლიო იმ კრების სამღვდელოების დეპუტატებისა, რომელ კრებაზედაც გაისკვნა საფუძველი ამ ჩვენი საქალებო სასწავლებლისა და იმ პირისა, რომელმაც პირველად აღძრა და დაჭბადა სამღვდელოების დეპუტატების გულში ამისთანა მშვენიერი და საქები აზრი და საქმე. ეს სადღეგრძელოც დიდის სიამოვნებით იყო მიღებული ყველასგან.

სამს საათზე ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა თავის ბინაზე და სტუმრებიც წავიდ-წამოვიდნენ მშვენიერი შთაბეჭდილებით.

ღმერთმან აკურთხოს ეს დაწესებულება და ყველა ისინი, რომელნიც ამ საქმეს ასე თუ ისე ეწეოდენ.

ყოვლად სამღვდელომ აცნობა სასწავლებლის კურთხევა ტელეგრამით უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს და საქართველოს ექსარხოსს პალადის, რომელთაც გულითადი მადლობა შესწირა ამ საქმეში დახმარებისათვის. ორივე მათგან მადლობის ტელეგრამმა მიიღო ყოვლად სამღვდელომ და ისურვეს კეთილწარმატება ახლად დაარსებული სასწავლებლისათვის.

მოხუცებული მღვ. გიორგი მაჩიტაძე დაითხოვეთ და მისი ადგილი მე მომეცით.

ერთი არა სანატრელი წესი შემოდის ჩვენს სამღვდელოებაში. დაასრულებს თუ არა ეინმე სემინარიას და არა თუ სემინარიას, ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელსაც, „კურსოვნიკი“, (ასე ეძახის მათ ხალხი) თხოვილობს, რომ მის მახლობლად მცხოვრები, ხანში შესული მღვდელი დაითხოვონ და მისი ადგილი ამ «კურსოვნიკს» მისცონ. ერთი ამ გვარი სემინარიელის საჩივრით ერთი მოხუცებული, მაგრამ ძლიერ ჯანმრთელი მღვდელი გიორგი მაჩიტაძე ეკზამენის დასაჭერად და გამოსაცდელად დაიბარეს ქუთაისში. ძველ საკრებულოტაძარში უნდა ეწირა ამ მოხუცებულ მღვდელს. მაყურებლები ბლომათ დაესწრო. სწირა ამ მოხუცებულმა მღვდელმა, მთავრობაც და ყველანი უყურებდენ მის წირვას და მღვდელ-მოქმედების აღსრულებას. სოფლის მღვდელი ქალაქში სწირავს და ამიტომ ყველანი მიჩერებიან; იქნება რამე შეეშალოსო. გასაჭირია ამ შემთხვევაში მღვდლის მდგომარეობა. რასაკვირველია, ყველა გულდამშვიდებული და დაწყნარებული ვერ სწირავს. ესსწორეთ იმას ჰგავს, სემინარიელებს როცა ეუბნებიან კლასში: აბა სიტყვა—ქადაგება სთქვი, წარმოიდგინე, რომ შენ წინ მრეველი დგას და შენ ეითომ მღვდელი ხარ და ხალხს უქადაგებო... მშვენიერად სწირა ამ მღვდელმა. ღმერთმან ინებოს, რომ ჩვენმა სემინარიელებმა შეასრულონ ისე წირვა და ლოცვა, როგორც ამ მოხუცებულმა მღვდელმა სწირა. კარგარეთელ მთავარ-დიაკონს უქებენ ხმას და ქართულად კითხვას, მაგრამ არ გვჯერა, რომ კარგარეთელმა ამ მღვდელს აჯობოს წირვა-ლოცვაში. ყოველად სამღვდელომ ეს მღვდელი თავის მრეველში დააბრუნა და იმ სემინარიელს, რომელსაც ამ მღვდლის ადგილის მიღება სურდა, უარი უთხრა.

საჭიროა ბარემ სინოდმა ხელ-ახლად განსაზღვროს ეადა მღვდლის სამსახურისა, რადგან დღემდის განსაზღვრულ წესს აღარაეინ ემორჩილება. საჭიროა ყველამ შეიტყოს, თუ რა ხანამდე შეიძლება სამსახურში დარჩენა არა თუ მარტო მღვდლისა, სხვა ყველა მოსამსახურე პირთაც. ეს მით იქნება კარგი, რომ ყველას ეცოდინება ეს ეადა და ყველა დაემორჩილება საზოგადო კანონს. მეორეთ ეს იმითაც იქნება კარგი, რომ არაეის არ შეეძლება ნათესაეობით და ნაცნობობით მოხუცებული კაცის დაფარვა და სიკვდილამდის სამსახურში დარჩენა.

სემინარიელი.

კულაშიდამ.

წარსულს წელშიდ «მწყემსი»-ს ერთ ნომერშიდ იყო ჩემი წერილი შესახებ მუხისა, რომელიც იყო ს. კულაშის ერთ მივარდნილ კუთხეშიდ. ამ მუხასთან მიდიოდნენ მუხლ-მოდრეკით და დიდის მოწიწებით როგორც ადგილობითნი მცხოვრებნი ისე გარეშე სოფლელები, ლოცულობდნენ და სტოვებდნენ სხვა-და-სხვა შეწირულებას. «მწყემსი»-ს რედაქციას შევპირდი დაწვრილებითი ცნობების შეტყობინებას ამ მუხის მოჭრისა და შემდეგ მისი გამოთხოვების ისტორიის შესახებ, მაგრამ ეს ჩემი პირობა არ შეგისრულებია. ეინაიდგან ამ შენიშვნაშიდ ჩვენ სულ სხვა საგანზედ გვინდა მოეელაპარაკოთ მკითხველს, ამიტომ ჩვენ დღეს ორიოდე სიტყვას ეიტყვით იმ მუხის შესახებ. ის მუხა ყოველად სამღვდელო გაბრიელის ბრძანებით მოჭრეს, მაგრამ მისმა თაყვანის მცემლებმა მაინც არ დასტოვეს იგი უყურადღებოდ: დღესაც მოდიან იმ არემარეზედ, სწირავენ ჩვეულებრივ ხან ფულს, ხან სხვა-და-სხვა გვარ ფრინველებს; თითქმის ეიღაცა ერთ უგუნურ გლეხს შეეწირა მუხის ძირში ერთი კარგი ხარი, რომელიც «ხატის კაცებს», სამწუხაროდ, უეცრად მოეტაცნათ. ბევრი ძებნის და გაწოკვლევის შემდეგ, შემოიტანეს ჩემთან საჩივარი ერთი ჩემი საბლაღოჩინოის მედაეითნეზედ, რომ ეითომც მან მოიპარა ის შეწირული ხარი. მათი საჩივარი, როგორც უსაფუძველო, დარჩა ჩემგან უყურადღებოდ. მადლობა ღმერთს, იმ არემარეს, სადაც ის მუხა იდგა, დღეს გამოუჩნდა პატრონი, რომელმაც დაიფლო ადგილი, სადაც ეხლა მშვენიერი ყანა არის და ამ სახით ხალხის უგუნურებას და ცრუ-მორწმუნებას ბოლო ეოლო. ვფიქრობდი, ამით თავდებოდა რწმუნებულ ჩემდამო საბლაღოჩინოშიდ მგზავსი კერპთ-თაყვანის-ცემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება, მაგრამ ყველა მწყემსთა სამწუხაროდ, მეორე სოფელშიდ იმისთანა საზიზღარი კერპთ-მსახურება აღმოჩნდა, რომ საჭირო არის ისტორიამ თავის ფურცელზედ მოათავსოს მაზედ ლეკენდარული მოთხრობა და ამითი გამოაშკარაოს ხალხის ზნეობრივი და რელიგიური დაცემა. გაგონილი და ნახულიც მქონდა სოფელს იანეთშიდ ერთი ებერთელა ქვა უბრალო ჯვარის სახით. ამ ქვასთან ადგილობითნი და სხვა სოფლების მკვიდრნი დადიან თურმე სალოცავად. ამ გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. შემთხვევის დროს, როდესაც მწერველი ვიქნებოდი იანეთის ეკლესიაშიდ, არა ერთხელ მიმიქცევია იანეთის მცხოვრებლების ყურადღება ამისთანა მათ კერპულ მოქმედებაზედ და ვფიქრობდი, რომ ჩემი სიტყვა იმოდენ გავლენას იქონიებდა მათზედ, რომ ისინი შეგნებდნენ თავიანთ შეცთომას და ჭეშმარიტ ქრისტიანულ გზაზედ დადგებოდნენ, მაგრამ იმედმა გვიმტყუნა. სასირცხოდ მიმაჩნდა, რომ ამოდენა ხანს ვერ მოულე ბოლო ამ ქვის არსებობას იანეთშიდ და არ გამოვათხოვე ის იანეთლებს ისე, როგორც ყოველად სამლვდელო გაბრიელმა გამოათხოვა მუხას კულაშის ზოგიერთა მცხოვრებლები. წარსულ ივლისის თვეშიდ მივსწერე ადგილობითი მამასახლისს, რომ იანეთის ეკლესიის გალავანში მრევლი დაეხვედრებია უნაკლულოდ და ხარები და ურემი აღნიშნული ქვის ასაღებად. წაეედი იმ იმედით, რომ იანეთის საზოგადოება მიიღებდა მხურვალე მონაწილეობას ამ ქვის აღებაშიდ, მაგრამ სულ სხვა დავინახე. წირვის გათავების შემდეგ მრევლს მივეცი შესაფერი დარიგება, მაგრამ ეკლესიაშიდვე ეტყობოდა მას რაღაცა უკმაყოფილება და მწუხარება. ერთი გლეხთაგანი, რომელიც ჩემ წინ იდგა და ისმენდა ჩემს ლაპარაკსა, თავს აქნევდა უარის ყოფით და ამითი აცხადებდა თავის უთანხმოებას ჩემს სიტყვაზედ. როდესაც ეკლესიიდამ გამოვედი და მოვთხოვე ხარი და ურემი ადგილობითი მამასახლისს, რომლის იმედი მქონდა, რომ საზოგადოებას მომიმზადებდა ამ საქმისათვის, მან განმიცხადა, რომ სოფელს იანეთშიდ ხარს და ურემს ვერავითარი ზომით ვერ გიშოვიო, ვინაიდგან ყველა დიდ შიშია ქვისა აღებისაგამოო. განცვიფრებულმა მივმართე მრევლს უმორჩილესი თხოვნით, რომ მას აღმოეჩინა ჯეროვანი დახმარება იმ ქვის აღებაშიდ, მივაქციე რა მათი ყურადღება განმეორებით ამ უმსგავსო და სარწმუნოების წინააღმდეგ მოქმედებაზედ, მაგრამ ერთის ხმით განმიცხადეს: «უწ. სინოდმაც რომ გვიბრძანოს, ჩვენ ქვის შეურაცყოფა არც გვიფიქრნია და არც შეგვიძლიაო». როდესაც დავკარგე სრულიად იმედი იანეთლების მხრით დახმარებაზე, მაშინ მივმართე ადგილობითი დიაკვანს ყუფარაძეს, რომ მას მოეყვანა ხარები და ურემი, მაგრამ მანაც უარი განაცხადა, რომ მისი ურემი ვითომც დამტვრეული არის და ხარები დაქანცული მუშაობისაგან. ამისთანა მისი მხრით უარის ყოფამ ეჭვში შემიყვანა,—ვაი თუ ეს დიაკვანიც აღჭურვილია იმ ქვის სიყვარულით, როგორც მისი მეზობლები-თქო და მაშინ უფლებით მოვსთხოვე, რომ მას შეესრულებია ჩემი მოთხოვნილება—გავაფრთხილე რა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაშიდ ის იქნება ჩემ მიერ წარდგენილი უმაღლეს მთავრობასთან როგორც მავნე წევრი ეკლესიისა და მოკერძე კერპთ-მსახურებისა. დიაკვანმა მაშინვე მოიყვანა ხარი და ურემი და, მართლა, აღმოჩნდა, რომ ურემი იყო უვარგისი და ხარები მეტის-მეტი დასუსტებულნი. გავემგზავრე იმ ქვისაკენ, რომელიც იდვა ეკლესიიდამ მეოთხედი ვერსის მანძილზედ, პატარა სახელმწიფო ტყეშიდ; თან წამომყვნენ ადგილობითნი მცდელნი, ერთი ჩემი მედავითნე და მამასახლისი, მაგრამ უკანასკნელს სახეზედ რაღაც შიში ეტყობოდა. შეგვაშინა ქვის სიდიდემ, კრებულის რიცხვის სიმცირემ (სულ 6 ვიყავით) და დიაკვანის ხარის და ურმის უვარგისობამ. ამ დროს დავინახე ერთი სამტრედიელი ვაჭარი ჩომახიძე, რომელსაც მივმართე უმორჩილესი თხოვნით, რომ შესულიყო ის ჩვენს მდგომარეობაში. იმან უარის უთქმელად მიიღო მხურვალე მონაწილეობა საზოგადო ჩვენს მუშაობაში, თუმცა, როგორც გარდმომცეს, ის დაჯილდოვეს ამისთანა გამბედაობისათვის უზომო საყვედურით მისმა მოყვრებმა. თითქმის 2 საათის განმავლობაშიდ ოფლში ვიწურებოდით და ვერ შევძლეთ ურემზე ქვის დადება. ხედავდნენ ჩვენს გაჭირვებას იანეთის ზოგიერთი მცხოვრებლებთაგანი, თითქმის ორას კაცამდის, მაგრამ არამც თუ არ მოგვეხმარნენ, არამედ ნაჯახიც არ გვათხოვეს საჭიროებისათვის, თუმცა თვითონვე არა ერთხელ მივმართე მათ თხოვნით, რომ მოგვეხმარებოდნენ. ჩვენი თხოვნა არა თუ არ იქნა მათგან შეწყნარებული, პირიქით გაიძახოდნენ: «თავი დაანებეთ, თორემ დაიხოცებითო!». ვიღაცა ერთი გლეხთაგანი ახლო გვიდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზედ, დაგვკინოდა და ყალიონს ეწეოდა. ბოლოს ღმერთი შეგვეწია: დაეჭვეთ ქვა ურემზე და გავემგზავრეთ ეკლესიისაკენ. უკან შორი ახლოს იანეთლები მოგვყვებოდნენ და მოელოდნენ რაიმე სასწაულს ქვისაგან. შუა გზაზედ დიაკვანის დაქანცულმა ხარებმა გვისუსტეს და ურემი შეჩერდა. რალა გაეწყობოდა, ჩვენც განვიზრახეთ იქვე ამ ქვის მიწაშიდ ჩაგდება. იანეთლები მოწყენილნი შემოგვყურებდნენ და თვალს ადევნებდნენ—თუ რა ბოლო მოელოდა მათ საყვარელ ქვას. გარდმოვაგდეთ ურმიდამ ქვა და მოვიკითხეთ მიწის ამოსაღებად ბარი, მაგრამ ვინ იყო პატრონი, რომ ენათხოვრებია. ისევ ადგილობითმა კრებულმა იშოვა ორი ბარი, ჩვენდა სამწუხაროდ, ისინიც დაჩლუნგულნი, მაგრამ რალა გაეწყობოდა, შეუდეგით მუშაობას და დიდი ტანჯვით ამოვიღეთ მიწა იმ სიღრმეზედ, რომ ქვა დაემალა. ქვა ჩავაგდეთ მიწაშიდ იანეთლების სამწუხაროდ, რომელნიც დაძმარებულნი შეყურებდნენ ჩვენ მოქმედებას და უკვირდთ—თუ რა დიდი გამბედავობა გამოვიჩინეთ იმათ მიერ გალმერთებული ქვის შეურაცყოფაშიდ. შემდეგ შევკრიბე ცნობები იანეთის მოხუცებულთა შორის ამ ქვის გალმერთების შესახებ. ვერავინ ვერ განმარტა—საიდამ, რა დროს და ვის მოუტანია ეს ქვა იანეთშიდ და რა მიზნით. ბევრი ცნობებიდგან გამოვკრიბე შემდეგი: უხსოვარის დროიდამ ეს ქვა მონაქონათ ვითომც გურიიდამ ერთი უღელი ხარი და ურმით. როდესაც მისულან სოფ. იანეთშიდ და შესულან პატარა სახელმწიფო ტყეშიდ, სადაც დღეს ეს ქვა იდვა, დაქანცულობისა გამო ხარები დაუსვენებიათ. როდესაც დასვენების შემდეგ გამგზავრება გაუპირებიათ,—მაგრამ სად, რომელ ქვეყნისაკენ ვერავინ ვერ ახსნა;—ერთ უღელ ხარებს ის ქვა ადგილიდამ ვერ დაუძრავთ; მერმეთ უშოვიათ ოთხი უღელი ხარი, მაგრამ ქვა კიდევ დარჩენილა შეურყეველი, როდესაც ერთ უღელ ხარებს ეს ვებერთელა ქვა დიდი მანძილიდამ ადვილათ წამოუღიათ; ამისათვის დაუტოვებიათ იმ ალაგს ის ქვე და დაურქმევიათ «ძალ-კვირა», ვინაიდგან ამ ქვას, ვითომც გამოუჩენია თავისი სასწაულებრივი ძალა და მასაქედ ის გამხდარა საუნჯეთ სასოებისა და თაყვანისცემისა ყველა იანეთის მკვიდრთათვის. ამ საგანზედ მიექცია ყურადღება მღვდელს ვასილ ქუთათელაძეს, როდესაც ის კულაშის საბლაღოჩინოს განაგებდა და მისი შთაგონებით ვითომც იანეთლებს წამოელოთ ეს ქვა დიდის ცერემონიით და ეკლესიის კუთხეშიდ დაედვათ. მაგრამ, როგორც ნამდვილი წყაროებიდამ შეიტყე, იანეთლებს მაშინაც ისეთი გულგრილობა გამოუჩენიათ ამ ქვის აღებაშიდ, როგორიც დღეს გამოიჩინეს. იმ დროს ომიანობა ყოფილა და მ. ვასილს ჯარის-კაცების შემწეობით ურმით (ხარი და ურემი ყოფილა დიაკვნის კვარეშვილისა) წამოუღია და ეკლესიის კუთხეშიდ დაუდვია. ყოველად სამღვდელო გაბრიელი ახალი განწესებული ყოფილა იმერეთის ეპარქიის კათედრაზედ და რევიზიის დროს უნახავს ეს ქვა ეკლესიაშიდ: როდესაც მ. ვასილს მოუხსენებია ამ ქვის ისტორია ყოველად სამღვდელოსათვის, ის განცვიფრებულა და უბრძანებია მ. ვასილისათვის, რომ ქვა წყალშიდ გარდაეგდოთ, მაგრამ ადგილობითი ბლაღოჩინს არ შეესრულებია მღვდელ-მთავრის ბრძანება იმ მიხედულობით, ვითომც იანეთის სამრევლოშიდ ამით მოხდებოდა დიდი განხეთქილება და უსიამოვნობა. გაეიდა დრო და ჟამი და დიაკვანს კვარეიშვილს ხარები დახოცოდა, მღვ. ყუფარაძე ავად გამხდარიყო და ერთ მედავითნეს შვილი ცეცხლში დასწოდა, ვინაიდგან ეს დაზიანებულნი ეკლესიის მოსამსახურენი იყვნენ, შემწენი ადგილობითი ბლაღოჩინისა ქვის აღებაშიდ. იანეთლებს ეს გარემოება მიეწერა ქვის სასწაულებრივი მოქმედებისათვის და დიდ შიშშიდ ჩავარდნილიყვნენ—ვაი თუ ჩვენც რაიმე უბედურება გვეწიოსო, ვინაიდგან არ მიგვიღია ზომები ქვის ღირსების დაცვისათვისო. მღ. კოპალეიშვილს მრევლისათვის გამოეცხადებია: მე ძილში მომეჩვენა წმ. სტეფანე, რომელმაც შემდეგი მითხრა: «ის ქვა ისევ მის ტახტზედ წაასვენეთო“. ამის შემდეგ მთელ კრებულს «რაპორტი» გაეგზავნათ ადგილობითი ბლაღოჩინისათვის და რაპორტშიდ მოეხსენებიათ: «ვინაიდგან მღვ. კოპალეიშვილი ავად გახდა, დიაკვანს ჯვარშეიშვილს ხარები დაეხოცა, მედავითნე ცეცხლით დაზარალიანდა, ამის გამო მთელი იანეთი შიშშიდ არის, რომ ამისთანა სასწაულები მოახთინა «ძალ-კვირამაო» და სთხოვდნენ ბლაღოჩინს ნება მიეცა მათთვის იმ ქვის ძველს არემარეს წაღებისა. ამისთანა ახირებული მოხსენება და ისიც ეკლ. კრებულის მხრით მ. ბლაღოჩინისაგან დარჩენილი იყო უყურადღებოდ. მე მიკვირს, რომ ისინი არ შეიქნენ ღირსნი წარდგენისა ბლაღოჩინისაგან უმაღლეს მთავრობასთან რათა სასტიკად დასჯილიყვნენ, როგორც აღჭურვილნი ცრუ მორწმუ-

ნეობით და არა ლირსნი მრეველის დამწყისა. ადგილობითი კრებულის დახმარებით ეს ქვა იანეთლებს ხელახლად მიუსვენებიათ ძველს ალაგს და ამის შემდეგ ისევ თავის ძველ ადგილზედ ყოფილა დარჩენილი.

(დასასრული შემდეგში).

მკითხავები და ცრუ ექიმები სამეგრელოში.

მეგრელია საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ჯანმრთელობისათვის ძრიელ მავნებელი ალაგია. აქ, როგორც ვიცით, მძვინვარებს სხვა და სხვა სენი, განსაკუთრებით ცუდ-თვისებიანი ციება, რომლისაგან იტანჯება არა თუ მარტო ხალხი, არამედ ზოგან, მგონი, ფრინველიც კი. ვერ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც არ იყოს ვინმე ავად ციებით. რადგან აქ ასე გახშირებულია სნეულება და მასთან ხალხი მოკლებულია ექიმის შემწეობას, ამიტომ ცრუ-მორწმუნე ხალხი ავადმყოფობის დროს ეძებს შემწეობას თვით მათგან შექმნილს ღვთაებაში — დიდ ქვევრებში, რომელთაც ხალხის ფიქრით აქვსთ ზესთაბუნებითი ძალა. ასეთ ქვევრებს აამსებენ ღვინით ჯ უწოდებენ სახელებს: «საკაპუნო, საუცოდნო, საოხორო, ოთაშხური, სამიქელ-გაბრიო, ოდაბადე, საღორონთო, საჭაჩხურო» და სხ. შემდგომ ოჯახის უფროსი მოწიწებით და მეტანიით მიდის ამ ქვევრების მოსახთელად და ლოცვილობს; ლოცვაში იხსენიებს მთელს ოჯახობას და სთხოვს მას (ქვევრს), მოურჩინოს ავადმყოფი, სიმრთელე არ დააკლოს ჯან-მრთელთა და გაუმრავლოს შინაური პირუტყვი. საზოგადოდ ამ ქვევრებს აწერენ ყოველ მათ თავგადასავალთა! ამისთვის მსხვერპლის შეწირვა და ლოცვა ამ ქვევრებისადმი მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ. ზოგჯერ ამ ქვევრების სახელზე ხორცეულობის ჭამას აღკრძალვენ და არავის, გარდა ოჯახის ძირეულ წევრთა, ნება არა აქვს სჭამოს ის და თუ ვინმემ გაბედა ამ წესის დარღვევა, მაშინ, მათის აზრით, ოჯახობას უთუოდ უბედურება ეწევა. წელიწადში ერთხელ ამ ქვევრების სახელით იკრძალება ყველის და რძის ხმარება, ისე რომ ამ დროს გროშიც რო არავისა ჰქონდეს, ვერ იყიდი ამ ნაწარმოებს. მაგრამ ეს ამაოდ-მორწმუნეობა მისის მეუფეების, ყოველად სამღვდელო გაბრიელის მოძღვრებისა და დარიგების შემდეგ და, ალბათ არ იყოს, ღვინის მოსაველის შემცირების მიზეზითაც, შესამჩნევად მოისპო. მაგრამ ნაცვლად ამისა გაჩრაელდენ გაიძვერა პირნი, რომელნიც მოტყუებით უკანასკნელ კაპიკს ართმევენ უცოდინარს ხალხს. ეს პირნი არიან მატყუარა ექიმები, რომელნიც თავის დამღუპველ ხელობას იჩენენ უფრო უმეცარ გლეხთა შორის. რაც შეეხება მკითხავებს, ესენი ყოველთვის ბევრი იყვნენ ჩვენში და არც ახლაა ალბათ. უფრო კარგი იქნებოდა ავადმყოფობის დროს ხალხს ეძებნა ნუგეში იმავ ქვევრებმერთებისაგან, ვინემ ამ მაწანწალა ცრუ ექიმებისაგან, რომელნიც უფრო ხშირად თავიანთი შეზავებულ სუნნელებით სწამლავენ ხალხს და ქვევრებისაგან ასეთი ენება მაინც არავის ეძლეოდა. მართალია უწინ სამეგრელოში ნასწავლი ექიმები არ იყვნენ, მაგრამ დღეს, ღვთის მადლით, ასეთი პირნი ყველგან მოიძებნებიან მეგრელიის სხვა-და-სხვა კუთხეში, მაგრამ უმეცარი ხალხი მაინც ამ მკითხავებთან გარბის. ისინიც ავად-მყოფობის მიზეზს აწერენ რომელიმე ზემოხსენებულ ქვევრთა წყრომას და როგორც წამალს უნიშნავენ დაუკლან რომელიმე ქვევრს ცხვარი, თხა, ღორი და ხან მამალი და სხ. ამ გაიძვერა პირების წყალობით უმეტესად ღარიბდება უიმისოდაც ღარიბი მეგრელი. ერთის სიტყვით უმეცარი ხალხი იწამლება ამ ცრუ-ექიმთაგან. აი, მაგალითად: წარსულს წელში ვილაც ცრუ ექიმ-მკითხავმა (ზოგჯერ მკითხავებიც ამზადებენ თავიანთ გამოგონილს რალაც სანელებელს და კიდეცა ექიმობენ) ახლად ცოლშერთულს კაცს მისცა რალაცა წამალი, რომლისაგან საბრალო კიდეც მოკვდა რამდენიმე საათის შემდეგ საშინელი პირის საქმობისა გამო. ზოგიერთებმა ურჩიეს გარდაცვლილის ნათესავებს, რომ ეს ამბავი ეცნობებიათ პოლიციისათვის და თან წარედგინათ ცრუ ექიმისაგან მიცემული საწამლავი, მაგრამ გარდაცვალებულის ნათესავებმა უარი გამოაცხადეს, რადგან არა სურდათ მიცვალებულის გაჭრა. ადგილო-

ბითი სოფლის პოლიციის მოხელეებმა ამ საქმეზე ხმა არ ამოიღეს. ასე მოიქცა ადგილობითი მღვდელიც, რომელიც ვალდებული იყო შეეტყო გარდაცვალებულის სიკვდილის მიზეზი თუ სხვა მიზნისთვის არა, მეტრიკაში აღსანიშნავად მაინც. ჩვენში ყოველი მარჯვე, მცბიერი კაცი ორივე სქესისა ან ცრუ ექიმია, ან მკითხავი. იგინი მზად არიან ყოველნაირ სნეულს უექიმონ, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ მათი წამალი მარტო მათ საკუთარს ჯიბეს რგებს და არა სნეულს. ეს მკითხავები ხშირად ურჩევენ გაუნათლებელ ხალხს გარდასახლდნენ თავიანთ ბინადრობიდამ, რადგან იმ ალაგს ჰფლობს ბოროტი სული (ალი), რომელსაც არა სურს, რომ ვინმე იქ ესახლოსო. გლეხი სტოვებს ძველ საცხოვრებელ ბინას და ესახლება, სადაც იქნება. ის არ დაიძებს, რა კაი ადგილი აირჩიოს და ან სად იშოვის კაი ადგილს, რადგან კარგი სამოსახლო ალაგები ყველას დაჭერილი აქვს წინ-და-წინვე.

ამ საგნის შესახებ ხშირად ყოფილა ბაასი «მწყემს»-ში, მაგრამ კიდევ თავისებურად ფარფაშობენ ეს ვაჟბატონები და ცარცვენ უმეცარს ხალხს და მათი ბატონობა არ მოისპობა, ვიდრემდის ამ საქმეს ყურადღებას არ მიაქცევენ სულიერნი მწყემსნი, სამწყსონი და ადგილობითი პოლიცია, რომელნიც ვალდებულნი არიან შეერთებულის ძალით სდევნონ ცრუმორწმუნეობა და მატყუარა ექიმები. გამოცდილებით ვიცით, რომ გლეხობა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ მათთვის დამღუპველია ცრუ-მორწმუნეობა და მატყუარა ექიმებთან საქმის დაჭერა, ეტანება უფრო თავისი ჭკუის ვინმეს, არის მასთან გულღიათ და მას უფრო უჯერის, ვინემ ნასწავლს. ამისთვის ფრიად სასურველია და აუცილებელი, რომ მოხსენებულს სამწუხარო მოვლენას მიექცეს ყურადღება; საჭიროა, რომ მრევლის მღვდლებმა და პოლიციის ბოქაულებმა აუხსნან და ჩააგონონ საზოგადოებას, რომ მკითხავები და ცრუ ექიმები არიან საზოგადოების მაენებელნი წევრნი და მათი რჩევა და წამლობა არ არის მისაღები. საჭიროა აგრეთვე მიეწეროს სოფლის მამასახლისებს, რათა მათ შეადგინონ სია ყველა მკითხავების და ცრუ ექიმებისა და თვალ-ყური ადევნონ მათ და დაიფარონ უმეცარი ხალხი მათი ცარცვა-გლეჯისაგან. მასთან მამასახლისებს ნება უნდა ჰქონდეს დასაჯონ ეს გაიძვერა პირნი. *)

მ. ჯ. დანელია.

მაგვეზღარს.

ვაი მას, ვისაც ბეზღობით
სურს კაცის ჩაგვრა, წახდენა,
და არად უჩანს კაცის კვლის
მსგავსი საქმისა ჩადენა.

რა უნდა იყოს მკვლელობა,
ერთი კაცისა წაქცევა,
მაგრამ გარყვნილსა გონებით
სურს მთელი ერის დაქცევა!

სიცრუითა სურს კანონის
წინაშე დაემსახუროს,
ბეზღობით ჩაგროს მართალი,
დასცეს და გაანადგურონ!

აი ამით სურს იშოვოს
დიდი ჯილდო და სახელი;
ნუ თუ არ არის ეს კაცი
საატანის გამოსახველი?

---

*) ამ სტატიასთან ჩვენ მივიღეთ წერილიც, რომელიც პაკეთის გახსნის დროს გაგონის ფანჯრიდამ ქარმა მოგვტაცა. ვაცნობებთ ამ სტატიის ავტორს ამას და ვსთხოვთ გაგვიმეოროს წერილი, თუ ის ამ სტატიის დაბეჭდვის გარდა სხვა რამე საგანს შეეხებოდა.

რედაქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, მართალი ოდესმე
დარჩება ისევ მართლადა,
და მაბეზღარის სიცრუეს
დაინახავენ ნათლადა.

ცრუი კი მოპარცულ ულვაშს
ვეღარ გადიგრეხს ვეროდეს,
სხვისი დაჩაგვრის მსურველი
თვითონ დაჩაგვრას ელოდეს.

რ. საფაოხელი.

მოლოდინით ოცნება.

ეზიავარ მარტოკა დალონებული,
მწარე ფიქრები მეხატებიან:
ტანჯვა უწყალო, დევნა ჩაგრულთა,
თვალ წინ მიდგანან, არ მშორდებიან.
ეხედავ ძმებს, ძმებზედ განრისხებულთა,
ხმალსა ლესავენ — იმუქრებიან
და ერთმანეთის დასამხობელად,
ჟამსა მარჯვესა ელოდებიან.

შურსა და მტრობას, მოყვასთა შორის,
დაურღვევია ურთიერთობა;
ნაცვლად ერთობის და სიყვარულის,
ისმის ღალატი, წყევლა და გმობა;
შვილი მამასა წვერ-ულვას ურცხვენს, —
მამა შვილს ჰკრულავს, არ აქვს შენდობა,
მრუდე ცხოვრებით ცოლქმართ კავშირსა,
მთლად დაუკარგავს რწმენა და ნდობა.

სადღაა იგი კაცთ-მოყვარება,
როს ერნი, მოყვასის ჭირში, ლხინს სთმობდენ
და ჭირში მყოფნი, ლხინში მყოფს მოყვასს,
განწირულებით მოულხინებდენ!?

როს ერთის გრძნობა, მეორის გრძნობას,
თითქოს განგებით უერთდებოდენ,
და ერთის ფიქრით შეთვისებულნი,
ყველა ერთ მიზანს მიეხწეოდენ?

ამ გრძნობის ნაცვლად, წამხდარ ბუნებას
აწ მოულია სხვაგვარი მცნება:
ყველა თვისთვისად, ჭირისაუფლობს,
ყველას თვისთვისად სურს მოლხინება,
ერთი მოყვასი თუ კეთილდღეობს,
მეორის გულსა ეს ემძიმება
და თუ იხილა გაჭირვებაში,
მაშინ კმაყოფით, მას ეცინება.

ყველა მღვთად იხდის თავის არსებას,
თითქოს ამ მიზნით იყვნენ შობილნი;
იმას ჰსცდილობენ, რომ ძმის ნაშრომით
მხოლოდ თვით იქნენ კაცად ცნობილნი,
— პატივ-დიდებით, არ მოწყინებით,
უნე ეტლებით გამოწყობილნი
და პატივს ჰსცემდნენ — ხარკს შესწირევდენ
მათ, მათ მოძმენი გლახად ხმობილნი.

სიცოცხლე მირბის მათი განცხრომით,
და აღარ ესმისთ სხვათ მდგომარება,
წვრილ შვილთ წვივილი, ობოლთ ჩივილი,
საბრალოთ ხვეწნა, ცრემლთ მდუღარება;
კვნესა მშიერთა, ოხერ ტიელთა,
ლუკმისა მთხოვნელთ ძმათ მმუდარება,
— მიწის მშრომელთა, დაუცხრომელთა,
— სისხლისა ოფლი და მწუხარება.

ზოგნი ჩვენგანნი, ქვეყნის მყვლეფავნი,
კაცად შექმნილან ორპირობითა,
მოუპოვნიათ ხარისხოვნება
და მაღლა სხედან, ქვეშ-ქვეშ ძრომითა;
თვისთა და მშობელთ მონაღვაწალსა
ჰფლანგვენ ბანქოში თამაშობითა,
დღე მუდამ «კრუჟოკს» შესჩერებიან,
კვკლუცთ დიაცთა მაცდურობითა.

შთამომავლობით ზოგთ მოაქვსთ თავი,
მაგრამ არა სწამთ წინაპართ სული,
არა ჰსწამთ მათგან სამშობლოსათვის
მუდმივ ბრძოლაში — სისხლი თხეული.
არც სწამთ თვით შთენი, ჭირთა მომთმენი,
რისთვის წინაპართ უძგერდათ გული,
და ან რისთვისაც მარადის იყვნენ,
მტერთა საბრძოლველად, გამზადებულნი.

პატივს არ ჰსცემენ მამა-პაპისა
რჯულსა, უზადოს და უმტკიცესსა,
გამოსდგომიან უარ-კაცობას,
და ურცხვად ჰგმობენ სწავლას ქრისტესსა.
აღარ დასდევენ ძველსა ზდილობას,
კეთილ-ზნეობას, ნამუსს და წესსა.
დიადთა გრძნობათ უკან სტოვებენ
და თაყვანს ჰსცემენ უუმწვლილესთა.

აგერ ვაჭარნი რაებს ჰსჩადიან,
რა გვარ ართმევენ ლუკმას მშიერსა,
რა მანქანებით ინარჩუნებენ,
სხვისა სამკვიდროს, როგორც ტიელსა.
ან ვით მუხთლობენ და ორგულობენ
თვის შემწყნარებელთ ძმათ ნაფიცს ერსა,
ერსა ოდესმე მათთვის თავდებულს
და მათს მებრძოლზედ მძლესა ძლიერსა.

ანგაარებით შესაზარებით,
ცარცვა შექმნილა მათ ხელოვნურად,
სიცრუით ფიცი უგრძნო უმტკიცი,
მილიონების მოსაპოვნელად.
ცრუ კოტრობითა, ცბიერობითა,
მათ ხელთ უპყრიათ, აწმყო დროება;
ყალბის ფულებით, მათგან ქმნულებით,
ქვეყნის ნაშრომი და საზდოება.

და ამგვარს, უღმრთო კაცთ-მოქმედებას,
არ უჩანს ჯერეთ ხელის შემშლელი,
არ უჩანს ჯერეთ მრუდე გზით მსვლელთა,
სიმართლის გზისა მაჩვენებელი,
არა ჰსჩანს ძალა, არც სხვა სახსარი,
ბოროტ განმზრახვთა შემყენებელი,
ვზიავარ მარტოკა და ამგვარს სახსარს,
სულის სისწრაფით, როსმე მოველი.

მღვ. გრიგოლ მღებრიშვილი *).

ახალი ამბები და შენიშვნები.

იქნება მოვესწროთ ჩვენი აფთიქების უაჯაო ხარჯის თავიდამ აცილებას. რუსეთის გაზეთებს შეუტყვიათ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს აფთიაქების მართვა-გამგეობა ხაზინას გადასცეს. ეხლანდელი მეაფთიაქეები იმოდენა სარგებელს იღებენ, რომ, ამ შემოსავალს 25%-იც მოაკლოთ, მაშინაც იმოდენი შემოსავალი იქმნება, — არა თუ ხარჯს დაჰფარავს, დიდი მოგებაც დარჩება და ადვილად შესაძლო იქმნება ყოველ აფთიაქს თავის ექიმი ჰყავდეს, რომელიც მოვალე იქმნება უფასოდ აღმოუჩინოს შემწეობა ღარიბ ხალხს და იაფმა ვაჭრობამაც უფრო ფართოდ გაშალოს ფრთებიო.

მთელი საზოგადოება ყვირის, როდესაც შეიტყობენ, რომ ფულის გამსესხებელი 20% იღებს და არ ამბობენ იმაზედ, რომ აფთიაქები 200% იღებენ!..

*
* *

ამისთანა უბედური წელიწადი არასოდეს არ დადგომია ჩვენ გლეხობას, როგორც წელს. ხოლერა სრულებით არ ყოფილა ზოგიერთ მაზრებში, მაგრამ დიდი ფულები მოიკრიბა სოფელში და ძლიერ უთავბოლოდ დაიხარჯა. ამასთან დიდი მოთხოვნილება აქვს გლეხებს სხვა-და-სხვა სამსახურის აღსრულებისა გამო. რკინის გზაზედ ყოველთვის იწვევა გლეხები და რაულობენ მას მუქთად. რამდენი ფული იხარჯება

*) მღვ. გრიგოლ მღებრიშვილი ხშირად სწერდა ლექსებს. ამის ლექსები დაბეჭდილია „დროება“-ში, „სასოფლო გაზეთში“ და „იმედში“ მისის სახელისა და გვარის მოუწერლათ. გვეჭდავთ ამ დარჩენილს მის ლექსს, რომელიც არსად არ ყოფილა დაბეჭდილი.

რედ.

სულ უმნიშვნელოდ ხან-დის-ხან და გლეხებთაგან მუქთად ყარაულობას ითხოვენ. ამასთან სხვა-და-სხვა სასამართლო ადგილებს თუმცა შტატით დანიშნული ყარაულები და «სტოროჟები» ყავს, მაგრამ აქაც გლეხები იწვევა მუქთად და თავის ოჯახობას ცდებიან უდროვო დროს. დიაღ, ძლიერ უპირს საქმე გლეხობას და ყურადღებას არ აქცევენ...

* *
*

როგორც ამბობენ, თბილ. სათ.-აზნაურო სკოლას 65 თხოვნა მიართვეს ყმაწვილების სკოლაში მიღებისა. მიიღეს 40 მოსწავლე. წ-ს პანსიონერთა რიცხვი 100-ია, შარშან-კი 83 პანსიონერი იყო. წელს ამ სკოლაში სწავლობს სულ 204 ყმაწვილი, შარშან-კი სწავლობდა 164. ამათში: მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში 26, მეორე განყოფილებაში 37, მესამე განყოფილებაში 37, მეხუთე განყოფილებაში 42, პირველ კლასში 26, მეორე განყოფ. 20, მესამე განყ. 10, და მეოთხე განყოფ. 6 მოსწავლეა.

ექვსი შაგირდისათვის მასწავლებლების დაქირავება და იმოდენა ხარჯი, რამდენიც მეოთხე კლასის შენახვაზედ მიდის, სწორედ არა ღირს...

* *
*

ქართლის ეპარქიის ერთი საეკლესიო კრებულის წევრისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«სინოდის ოფიციალური გამოცემის „საეკლესიო უწყებათათვის“ დღემდის ჩვენ ვიხდიდით წელიწადში 3 მანეთს. დღეს-კი ამ გაზეთისათვის ოთხ მანათს გვახდევინებენ და იმასაც წინ-და-წინ, აგვისტოს თვეში მომავალი წლისათვის. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი გაზეთის საშვალებით, მართლა მოემატა ამ გაზეთს ფული, თუ არა?»

საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ხსენებული გამოცემის ფასი ისევ ის არის, რაც წინეთ იყო და სახელდობრ სამი მანეთი. ნამეტანი ფული ალბად იმ კაცის ჯიბის სასარგებლოდ მიდის, ვინც ამ ფულს თქვენ გახდეევინებსთ. არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა ჩვენს სამღვდელოებაში. ზოგიერთი პირები ძლიერ მიეჩვივნენ გამოცემათა საშვალებით სხვისი ფულით სარგებლობას. პატივცემულ მ.მ. დეკ. ს. ბენაევს, ნ. დავიდოვს, მ. კაპანაძეს, დ. გ. გამბაროვს, სოლომონ კანდელაკს და ზოგ სხვათაც ჩვენი გამოცემის ფული წარსული წლებისა მობოჭილი ჰქონიათ სამღვდელოებისაგან კარგი ხანია, მაგრამ ისინი დღესაც არ გვიგზავნიან ამ ფულებს იმ მიზეზით, ვითომ მათდამი რწმუნებული სამღვდელოება არ იძლეოდეს ამ ფულებს. მაგრამ, როგორც ჩვენ კერძოდ შევიტყვეთ, თითქმის გაზეთის ფული ყველა მღვდელს ჰქონია გარდახდილი. დიახ, სწორედ სამწუხარო მოვლენაა ეს. აი სწორედ ამას ჰქვია ძმური დახმარება საზოგადო კეთილ საქმეში.!!!

* *
*

სადმრთო სჯულის სასწავლებელი სახელმძღვანელო, მიდებული სამრევლო და სახალხო სკოლებში რუსულ-ქართულ ენაზე დ. ლამბაშიძისა, უკვე გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

*
* *

დავით აღმაშენებლის შეგლის დასადგმელად და სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ეკუბოს მოსაპოვებელად შეკრებილი ფულები შორაპნის და რაჭის მაზრაში მღვდელმონაზონის ევსევისაგან ჩვენ მივიღეთ ხუთას ორმოცდა ცხრამეტი მანეთი (559 მ.) ამ ფულებისა იყო წინეთ 805 მან. 70 კ. და ამ ფულების დამატებით იკრება 1364 მან. და 70 კაპ.

საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ საგნის შესახებ ფულების შესაკრებად დადის მხოლოდ ერთი მოწამეთის მონასტრის მღვდელმონაზონი ევსევი და არავინ სხვა.

წესდება

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ემერიტალური კასისა.

თ ა ვ ი I.

საზოგადო წესდებულებანი.

§ 1. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ემერიტალური კასა არის ურთიერთ შორის ნდობაზე დამყარებული დაწესებულება, რომელიცა ამ წესდების თანახმად, აძლევს პენსიას: ა) კასის მონაწილეთა, შემდეგ მათ მიერ სამსახურიდგან გადადგომისა და ბ) იმავე მონაწილეთა, ქვრივთა და ობოლთა.

§ 2. ეს კასა იმყოფება ადგილობითი ეპარქიალური მთავრობის გამგეობისა და მფარველობის ქვეშე; აგრეთვე სხვა მთავრობის წარმომადგენელნი და სასამართლონი ეპარქიისა ამ დაწესებულებას თავის მხრით აღმოუჩენენ დახმარებასა და საჭიროების დროს კანონიერს მფლობელობასა და შემწეობას.

§ 3. აღნიშნულ კასაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ: ა) იმერეთის ეპარქიალური უწყების სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა და ბ) ადგილობითი ეპარქიალური კანცელარიაში და სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურეთა, როგორც სასულიერო უწყებაში მოღვაწე პირთა; ხოლო სხვა ეპარქიების სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა მონაწილეთ მიღება და უარყოფაც დამოკიდებულია კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრების გადაწყვეტილებაზე.

§ 4. თანხა ემერიტალური კასისა არის სრული საკუთრება კასის მონაწილეთა; ამისათვის იგი გარდა ამა წესდებაში აღნიშნულ პენსიისა, არა ვითარ სხვა რაიმე საჭიროებაზე არ მოიხმარება. უკეთუ კასა რაიმე შემთხვევისა გამო სამუდამოდ დაიხურა, მაშინ თვითოეულ კასის მონაწილეს დაუბრუნდება მის მიერ შემოტანილი ფული თავის სარგებლით. სხვა წყაროებიდამ შემოტანილი ფული კი გადაირიცხება ადგილობითი ეპარქიალურ სამზრუნველოში სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა შესაწევნელად.

§ 5. პენსია კასიდგან ეძლევა ყველას, ვისაც-კი ამა წესდების ძალით უფლება აქვს ამაზე მოპოებული მიუხედავად მისა, აქვს თუ არა მას რაიმე შეძლება, ანუ სხვა ადგილიდგან ღებულობს პენსიას, ან სხვა გვარ რაიმე შემწეობას.

§ 6. შეცვლა ამა წესდების რომელიმე მუხლისა, დამატება ანუ განმარტება შეუძლია მხოლოდ კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებას; მასთან ამგვარ ცვლილებას ადგილობითი მთავრობის დაუმტკიცებლად არ ეძლევა არა ვითარი ძალა და მოქმედება.

§ 7. დამარღვეველი ანუ უარ-მყოფელი ამა წესდების რომელიმე მუხლისა, გარდა კანონიერი სასჯელისა, მოვალეა უხლოს კასას მისგან მომხდარი ზარალი.

§ 8. ყოველი წლის დამლევს გამგეობა კასისა ადგენს წლიურ ანგარიშს კასის თანხის მდგომარეობაზე, მის შემოსავალსა და გასავალზე; ეს ანგარიში იბეჭდება ადგილობითი სასულიერო ჟურნალში, ანუ გაზეთში. თვითოეულ კასის მონაწილეს ნება აქვს ეს ანგარიში განიხილოს და თავისი შენიშვნები მაზე წარუდგინოს კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებას.

§ 9. ყოველი ათი წლის შემდეგ ინიშნება კომისია განსახილველად კასის მდგომარეობისა, მისი გამგეობის მოქმედებისა და შესამუშავებლად ახალთა მოსაზრებათა კასის მომავალ წარმოებაზე.

§ 10. ბლალოჩინები მოვალენი არიან მოახსენონ კასის გამგეობას კასის მონაწილეთა სამღვდელო და საეკლესიო მსახურთ სამსახურიდგან გადადგომა, აგრეთვე მათი გარდაცვალებაც და ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნონ მიცვალებულის ქვრივი და ობოლნი, წლოვანების ჩვენებითა.

ამას წინათ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ერთ კრებაზედ აღიძრა კითხვა სამღვდელოების ემერიტურის დაარსების შესახებ. სამღვდელოების დეპუტატებმა განაცხადეს სურვილი, რომ პირველად დაბეჭდილიყო სამღვდელოების ემერიტურის წესდება გაზეთში, რომ ამით ყველას შეძლებოდა თავისი აზრის გამოთქმა ამ საგნის შესახებ. ამისთანა წესდებულების შედგენა ითავა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივანმა ბ. ე. ს. თუთბერიძემ, რომელმაც გამოგვიგზავნა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად ეს წესდება. ჩვენც გვეჭდავთ ამ წესდებას შეუცვლელად.

რედაქ.

თავი II.

საშვალება კასისა.

§ 11. ემერიტალური კასა შესადგება: ა) კასის მონაწილეთაგან ყოველ წლიური შეტანილი ფულისგან; ბ) ეკლესიების შემოსავლის 2%-საგან; გ) სასულიერო უწყების პირთა ერთ დროებითი შეწირულებისაგან: მღვდლად კურთხევის და ჯილდოების დროს არა ნაკლებ ხუთის მანეთისა, დიაკვნად კურთხევის დროს სამის მანეთისა და მედავითნედ განწესების დროს ორის მანეთისა, აგრეთვე ადგილობითი სასულიერო სასწავლებელში და კანცელარიაში მოსამსახურე კასის მონაწილე პირთა მთავრობისაგან ფულით ანუ ორდენით დაჯილდოების დროს არა ნაკლებ ხუთის მანათისა; დ) კასის თანხის %%-საგან და ე) კასის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა მოსალოდნელი შემოსავლისაგან.

§ 12. როგორც კასაში მონაწილეობა, ისე აღრჩევა მისა, თუ რაოდენ სამწევრო ფულს შემოიტანს იგი წლიურად კასაში და რაოდენ წელიწადს, დამოკიდებულია თვითოეულის სურვილსა და შეხედულობაზედ. ხოლო უფლება, დიდი თუ პატარა პენსიის მიღებისა, განისაზღვრების იმა წლიურ სამწევრო გადასახადის და წელთა რაოდენობით.

§ 13. სრული პენსიის მიღებისათვის საჭიროა სამწევრო ფულის შეტანა გაგძელდეს 25 წელიწადს, ხოლო პენსიის ნაწილებისათვის—5, 10, 15 და 20 წელიწადს.

§ 14. თვითოეულ წელში 10 მ. პენსიის მიღებისათვის კასის მონაწილე ვალდებულია შეიტანოს კასაშიდ ყოველ წლივ 1 მ, და 50 კაპ.

§ 15. პენსია და კასაშიდ შესატანი ფული სამგვარია: უდიდესი, უმცირესი და საშვალო დეკანოზთა, მღვდელთა და ადგილობითი სასულიერო სასწავლებლების და ეპარქიალურ კანცელარიის მოსამსახურეთათვის—უდიდესი ხარისხის პენსია არის—წელიწადში 400 მან. და მისთვის კასაში წლიურად შესატანი ფული 60 მან.

საშუალო ხარისხისა—200 მან. და 300 მან. და შესატანი ფული 30 და 45 მან. უმცირესი ხარისხის 100 მან. და შესატანი ფული მისთვის 15 მ. დიაკვნებისათვის უდიდესი ხარისხის პენსია წელიწადში 240 მან. და წლიური შესატანი ფული 36 მან. საშვალო ხარისხისა—100 და 200 მან. და წლიური შესატანი ფული 15 და 30 მან.; უმცირესი ხარისხისა 60 მან. და შესატანი ფული 9 მან.; მედავითნეთათვის უდიდესი ხარისხის პენსია 150 მან. და წლიური შესატანი ფული მისთვის 22 მანათი და 50 კაპ.; საშვალო ხარისხისა 50 და 100 მან. და შესატანი ფული 7 მან. 50 კაპ. და 15 მან. უმცირესი ხარისხის პენსია 30 მან. და წლიურად შესატანი ფული 4 მან. და 50 კაპ.

§ 16. კასის მონაწილეთა დეპუტატების საზოგადო კრებას ნება აქვს აღნიშნული პენსია გაადიდოს, როდესაც ეს შესაძლო იქნება კასის მდგომარეობის გაუმჯობესობისაგამო.

§ 17. ყოველი კასის მონაწილეს შეუძლია უმცირესი ხარისხის პენსიისათვის შესატანი ფული გაადიდოს საშვალ ანუ უმაღლესის ხარისხის პენსიის მისაღებად, მით, რომ წარსული წლების დანაკლისი შესატანი ერთ ჯამირად წარადგინოს კასაში თავისი სარგებლით; გარდა ამისა საჭიროა, რომ ეს ახლად გადიდებული გადასახადი აძლიოს კასას, არა ნაკლებ ხუთის წლისა; წინაალმდეგ შემთხვევაშიდ მომატებული ფული უკანვე უბრუნდება მის შემომტანს უსარგებლოდ; პენსია კი დაენიშნება მას თავიდგანვე მის მიერ აღრჩეული ხარისხისა.

§ 18. შესაძლოა აგრეთვე გადასახადი უმაღლესის პენსიისათვის შეიცვალოს უმცირეს პენსიის მისაღებად. ამ შემთხვევაში გადასახადი დამცირდება და წინა წლებში შემოტანილი ფული, გარდა მისი მაშინდელი სარგებლისა, ჩაეთვლება შემომტანელს შემდეგ წლებისათვის.

თავი III.

შემოსავალი კასისა და მისი წარმოება.

§ 19. წლიური შემოსატანი ფული ეკლესიებისაგან და სამღვდელოებისაგან იკრიბება ბლაღოჩინების მიერ და იგზავნება კასაში ნახევარ-ნახევარ წლობით, მაისში და ნოემბერში; აგრეთვე სხვა კასის მონაწილენიც ამ ვადებზედ ადგენენ ფულს. სხვა გარეშე კეთილმნებლობით შემოწირულება კი ყოველ დროს მიიღება კასაში, განურჩევლად ფულის მომტანთა.

§ 20. ეკლესიებიდგან და სამღვდელოებისაგან კასაში წარმოსადგენად შეკრებილი ფულისაგან ბლა-

ლოჩინები ურიგებენ ხვედრ პენსიას თავიანთი საბლალოჩინო პენსიონერებს; ხოლო გადანარჩენ ფულს უკლისად ადგენენ კასაში დანიშნულ დროს, უწყებითურთ, რომელშიდაც ნიშვნენ, ვისგან, როდის რამდენი ფული შემოვიდა; პენსიებად დარიგებული ფულის მაგივრად კი კასაში ადგენენ საპენსიო წიგნაკებისაგან ამოჭრილ კუპონებს.

§ 21. ვინც ვადაზედ არ წარმოადგენს კასაში საწევრო შემოსატან ფულს, იგი თვითეულ გადმოცილებულ თვეზე, გარდა ხვედრი შემოსატანი ფულისა სარგებლითურთ, იხდის თითო მანეთზე ჯარიმას თითო კაპეიკს. უკეთუ ვინმე კასის მონაწილეთაგანი რაიმე მიზეზისა გამო, თავს დაანებებს კასაში სამწევრო ფულის გზანას, და შემდეგ ისევე მოინდომებს კასაში მონაწილეობას, იმ შემთხვევაში ეს დრო ან არ ჩაეთვლება მას პენსიის მიღებისათვის, ან ჩაეთვლება და ამისათვის მოითხოვება მისგან ხვედრი იმა დროისათვის გადასახადი სარგებლითურთ.

§ 22. ყოველი კასის მონაწილე, რომელიც ოც-და-ხუთ წელიწადს უკლისად და განუწყვეტელად უგზავნია კასაში შემოსატანი ფული, თავისუფალია კასის გადასახადისაგან, მიუხედავად მისა სამსახურშია იგი თუ არა.

§ 23. თვითოეულ კასის მონაწილეს ექმნება კასისაგან მიცემული რვეული, რომელშიდაც ინიშნება ფულის მიღების დრო და ხელსაც აწერს ფულის მიღებაზე ის, ვისაც ფული ბარდება კასაში წარსადგენად.

§ 24. კასაში ფულის წარსადგენი ხარჯისათვის ბლალოჩინს ეძლევა კასის მონაწილეთაგან მანეთზე ერთი კაპეიკი.

§ 25. უკეთუ სამღვდელო და საეკლესიო მსახურნი იმერეთის ეპარქიიდგან გადავიდენ სხვა ეპარქიაში, ანუ საეპარქიო უწყებიდგან სხვა უწყებაში, აგრეთვე ადგილობითი სასულიერო სასწავლებელში და კანცელარიაში მოსამსახურე პირნი დატოვებენ საქართველოს საექსარხოსოში სამსახურს, ან გადავლენ სასულიერო უწყებიდგან სხვა უწყებაში, იმ შემთხვევაში ისინი გამოირიცხებიან კასის მონაწილეობიდგან მით რომ, თუ მონაწილეობა მათი კასაში იყო ხუთ წელზე ნაკლები, მათ უბრუნდებათ უკან თავიანთი ფული და თუ ხუთი წელი, ან მეტი, იმ შემთხვევაში ესპობათ უფლება შემდეგ კასაში ფულის დგენისა და ეძლევათ პენსია წარსული დროს გამოანგარიშებით.

§ 26. იმ კასის მონაწილეთა, რომელნიც თავიანთი დამნაშაობის გამო გამოირიცხულ იქმნებიან სასულიერო წოდებისაგან, ანუ სამსახურისაგან, ანუ თვითონ მიატოვებენ თავიანთ ხარისხს, პენსია არ ეძლევათ, არც უბრუნდებათ უკან მათ მიერ შემოტანილი ფული, არამედ მათ პენსიას მიიღებენ მათი ცოლშვილნი; უცოლშვილოს კი უბრუნდება მისგან შემოტანილი ფული სარგებლითურთ.

§ 27. შემოტანილი ფულის დაბრუნება შეუძლიათ მხოლოდ მის შემომტანს, ანუ მის ოჯახობას ე. ი. მის ცოლსა და შვილებს და არა სხვა ნათესავებს.

თავი IV.

პენსიის რაოდენობა და მისი მიღება.

§ 28. პენსიის მიღება შეიძლება არა ადრე ხუთის წლისა ემერიტალური კასის მოწყობის და მისი აპერაციის (მუშაობის) დაწყებიდგან.

§ 29. ვინც მთელი პენსიის, ანუ მისი ნაწილის მიღების უფლებას დაიმსახურებს, მას თავის დროზე ეძლევა კასის გამგეობისაგან საპენსიო წიგნაკი.

§ 30. ვისაც კასაში ხუთ წელზე ნაკლებ უდგენია ფული, მას არ ეძლევა პენსია, არც მის ოჯახობას, არამედ უბრუნდება მის მიერ შეტანილი ფული უსარგებლოდ.

§ 31. პენსია ეძლევათ: ა) კასის მონაწილეებს, შემდეგ მათი სამსახურიდგან გადადგომისა და ბ) მათ ქვრივთა და ობოლთა, რომელნიც თავიანთი უფლების საბუთად პენსიის დამრიგებელს უდგენენ საპენსიო წიგნაკს, ურომლისოდ პენსია არავის არ მიეცემა.

(შემდეგი იქნება).

შინაარსი: კურთხევა იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლისა.—მოხუცებული მღვ. გ. მ—ძე დაითხოვეთ და მისი ადგილი მე მომეცით.—კულაშიდამ.—მკითხავები და ცრუ ექიმები სამეგრელოში.—მაბეზღარს (ლექსი).—მოლოდინით ოცნება (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—წესდება იმერეთის ეპარქიალური სამღვდელოების ემერიტალური კასისა.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозволено цензурою. Кутаисъ, 14 Октября 1892 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хананових на Нѣмецкой ул.